მარიამობას გილოცავთ!

ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

განთიადი

90-ე წელი თქვენთან ერთად!

2021 წელი 28 აგვისტო № 8 № 8171

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

განახლებული რეგიონები

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამა "განახლებული რეგიონების" ფარგლებში, ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები, - ამის შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ კასპის მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების დათვალიერებისას განაცხადა.

ირაკლი ქარსელაძე, შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ ვალერიან მჭედლიძესთან ერთად, კასპში მიმდინარე პროექტების სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო.

კასპში მიმდინარეობს ქალაქის ცენტრში მდებარე შენობებისა და გიორგი საakაძის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია.

მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ პროექტები ითვალისწინებს ახალი შესაძლებლობების გაჩენას ბიზნესისთვის, სხვადასხვა კულტურული და კვების ობიექტების სახით, რაც მნიშვნელოვანი იქნება, როგორც ინვესტორებისთვის, ისე მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისთვის. ოთხწლიანი პროგრამა, რომელიც საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს და მისი მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია, ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტის განვითარებას გულისხმობს.

პროექტები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების უშუალო ჩართულობით სპეციალურმა კომისიამ დაამტკიცა, ხოლო სამშენებლო კომპანიები, რომლებმაც უკვე დაიწყეს მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოები, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერებით შეირჩა.

სპეციალური კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც ადგილობრივი თვითმართველობის, ისე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები და სივრცითი დაგეგმარების სპეციალისტები.

სტიქიის შედეგად

კასპის მუნიციპალიტეტში 8-9 აგვისტოს ძლიერი ქარისა და ჭარბი ატმოსფერული ნალექის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მფლობელებს მერიამ გადასახური მასალა გადასცა. მუნიციპალიტეტში აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, მერის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც დაადგინა დაზარალებული ოჯახები და ზარალის ოდენობა.

სტიქიის შედეგად მუნიციპალიტეტში ზარალი 4 სოფლის 29 მოსახლემ მიიღო.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობის ვაქცინაცია მიმდინარეობს.

ვაქცინაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის (გორი) მედიკოსთა მობილური ჯგუფი ახორციელებს.

აცრა განხორციელდა სოფლებში: ქვემო გომში, ახალქალაქში, ლამისყანაში, დოესში, მიქელწყაროში, ორჯერ ქვემო ჭალაში.

მობილური ჯგუფების მიერ, 23 აგვისტოს ჩათვლით, აცრა 382 ადამიანს ჩაუტარდა.

დაიცავი საკუთარი თავი და გარშემო მყოფი ადამიანების ჯანმრთელობა

აცრა ნებაყოფლობითია

იმუნიზაციის პროცესი გრძელდება იმ სოფლებში, რომლის მოსახლეობამაც თავად გამოთქვა სურვილი. აცრა ნებაყოფლობითია, დაიცავი საკუთარი თავი და გარშემო მყოფი ადამიანების ჯანმრთელობა.

გრძელდება ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის,, ფარგლებში დაგეგმილი პროექტების განხორციელება

სოფელ ნოსტეს სასმელი წყლის (ე.წ. "კენჭყარის") რეზერვუარის შეკეთება მოსახლეობამ სოფლის კრებაზე გადაწყვიტა.

აღნიშნული რეზერვუარი დაზიანებული იყო და საჭიროებდა აღდგენას.

მშენებელ ი/მ "დავით კოშაძი"-ს მიერ ამოსუფთავდა, ამოშენდა და შეილესა რეზერვუარი, მოეწყო ახალი სახურავი. რეზერვუარში შესაძლებელი გახდა წყლის მიღება, რომელიც ძირითად სასმელი წყლის რეზერვუარს მიეწოდა. შედეგად გაიზარდა წყლის დებეტი.

"სოფლის მხარადჭერის პროგრამის" ფარგლებში სოფელ ახალქალაქში მდინარე ცხირულას საყრდენი კედლის მოწყობა მიმდინარეობს.

არსებული კედელი დაზიანებული იყო და მდინარის ადიდების დროს მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის საშიშროებას ქმნიდა.

სამუშაოებს ი/მ-წარმე "არჩილ ყოჩიშვილი" ახორციელებს, რომელზეც 23 329 ლარი დაიხარჯება.



კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხანდაკში, სოფლის ცენტრალური გზის გასწვრივ კაპიტალური სანიაღვრე არხი მოეწყო.

გაიწმინდა გზის შემოსასვლელში არსებული მილები და 300 გრძივ მეტრზე რკინა-ბეტონის ღარები ჩალაგდა.

პროექტი "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განხორციელდა, რომლის მიზანია ნალექის დროს მოასფალტებული გზის დაცვა.

სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები შპს "მშენებლობა 2020"-მა განახორციელა.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალციხეში სოფლის ცენტრალური გზის გასწვრივ მდებარე სანიაღვრე არხს წმენდითი სამუშაოები ჩაუტარდა.

მშენებელმა კომპანიამ - შპს "დანიკონტრაქმსშენმა" სანიაღვრე არხს მოხსნა რკინა-ბეტონის ცხაური, გაწმინდა და დაფარა.

ინდ/მეწარმე "დავით კოშაძემ" სოფელ მთიულთუბნის სასმელი წყლის სათავენაგებობის შემოღობვის სამუშაოები ჩაატარა.

სათავენაგებობა მილკვადრატულ ბოძებზე არსებული ბადით შემოიღობა, მოეწყო შესასვლელი კარი, ხოლო მეტალის კონსტრუქციები ზეთოვანი საღებავით შეიღება.

ხიდისყურსა და საქადაგიანოში

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მიერ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისყურისა და საქადაგიანოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირებამშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს "ჰიდროტექნოლოგიურმა ჯგუფმა" სოფელ საქადაგიანოში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო.

პროექტი ითვალისწინებს რკინა-ბეტონის რეზერვუარის, სატუმბი სადგურის, სანიტარული ზონის, სადარაჯო ჯიხურის მოწყობას.

ორივე სოფელში მოეწყობა წყალსადენის ქსელი ჰიდრავლიკური გამოცდით და გარეცხვა-დეზინფექციით.

შესრულებული სამუშაოს გარანტია 1 წელია. საგარანტიო პერიოდში მომწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების (დაზიანებების) აღმოფხვრა.

პროექტის დასრულების შემდეგ ორივე სოფლის მოსახლეობას სასმელი წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება.

მიმდინარე სამუშაოებს შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" აფინანსებს.

ვიდრე ციცოცხლე დამთავრდებოდეს

გარინდებულ ქუჩას სამგლოვიარო პროცესია მისდევდა. მარადიულობის გზაზე აცილებდნენ ვალმოხდილ, თვალსაჩინო მასწავლებელს, რომელიც წლების განმავლობაში ამშვენებდა პატარა ქალაქს და ცხოვრებას ულამაზებდა ცნობილ მწერალს, იყო მისი შემოქმედების მუზა, ერთგული თანამგზავრი და მეგობარი, ოჯახის დიასახლისი და შვილების დედა...

დახურა თავისი ცხოვრების წიგნი, რაიონში გამორჩეულმა პედაგოგმა, ფრანგული ენისა და ლიტერატურის ჩინებულმა მცოდნემ, ქალბატონმა ნათელა ფარემუზაშვილმა, რომელმაც, ვიდრე სიცოცხლე დამთავრდებოდა, ნათელი კვალი დატოვა არა მარტო ახალგაზრდობის აღზრდაში, არამედ, ქართულ ჟურნალისტიკაშიც და იყო რაიონული გაზეთის რედაქციის მუშაკთა 60-იანელი თაობის ღირსეული წარმომადგენელი...

... ჩვენ ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით და ყოველ დილით, ჩვეულებრივად ვხვდებოდით, თბილად ვესალმებოდით, ის ჩვენი რედაქციის ამბებს მკითხავდა, მე - მეორე საშუალო სკოლით ვინტერესდებოდი, სადაც იგი ფრანგულ ენას ასწავლიდა, დამემშვიდობებოდა და უკან, სიტყვებს დამადევნებდა: - „დედა ტერეზა" მომიკითხე, არც ჟორა მალაციძე დაგავიწყდეს, მათთან, ერთ პატარა ოთახში, რამდენიმე წელი ვზიდე რედაქციის ტვირთი!..

— თქვენთვისაც „დედა ტერეზა" იყო, ზინა დეიდა?, - გაოცებით ვკითხავდი... - აბა, რაა, უმაგისოდ მტერ-მოყვარეს არა ვხვდებოდით, მასპინძელიც ეგ იყო და დიასახლისიც...

- ჰო, ჩვენთანაც ასეა, აუცილებლად გადავცემ, — ვეტყოდი და ცემენტის ქარხნისკენ დავეშვებოდი, სადაც, რაიონული გაზეთის რედაქცია იყო შეყუჟული პატარა სასტუმროში. იქ კი, დაბარებულ მოკითხვას გადავცემდი ჩვენს უკეთილშობილეს კორექტორს, ქალბატონ ზინაიდა ქისტიშვილს. ისიც გაიბადრებოდა, „დედა ტერეზას" სახელს შეიფერებდა და გვეტყოდა: ნათელა ფარემუზაშვილის „მოკითხვა" უნდა დავლოცოთ, აიღებდა ტელეფონს და მეუღლეს დაურეკავდა: - დათიკო, დღეს მორიგე ვარ, არ დაგავიწყდეს ირაკლი სოზიაშვილი, ხომ იცი, მისი სისუსტე რომ ლუდია!...

გიორგი მალაციძე (რედაქტორის მოადგილე) ჩაიღიმილებდა და ხელნაწერს ჩახედავდა. ირაკლი სოზიაშვილი, კმაყოფილი, ალმაცერად შემოგვხედავდა, ქუდს დაიხურავდა, - ალოობაზე მივდივარ და მალე მოვალო, - დაგვიბარებდა და კარს გაიხურავდა...

და ჩვენც, იმ დღეს, დათიკო ცერცვაძე გვმასპინძლობდა...

ქალბატონ ნათელა ფარემუზაშვილთან ჩემი შეხვედრა უფრო ადრე მოხდა, 60-იან წლებში (გასული საუკუნე მაქვს მხედველობაში), მაშინ, რაიონული გაზეთი, თითქმის ყველა ოჯახში შედიოდა, მე უკვე სტუდენტი ვიყავი და კალამს ვცდიდი, პირველი წერილი გაზეთმა „კომუნისტმა" დამიბეჭდა, 1959 წლის ოქტომბერში, მას ნარკვევი მოჰყვა ჟურნალ „საქართველოს ქალში", ინტერესით ვკითხულობდი ქართულ პრესას, მათ შორის, ჩვენს რაიონულ გაზეთს, რომელსაც მეტად ოდიოზური სახელწოდება („კომუნიზმისაკენ") ჰქონდა. ამ გაზეთის ფურცლებზე ვკითხულობდი თავანკარა ქართული ენით დაწერილ ნარკვევებს და წერილებს ნათელა ფარემუზაშვილის და სხვათა გვარებით. ინტერესიც გამიჩნდა: ახლოს გამეცნო ი ს ი ნ ი , და აი, 1961 წლის ზაფხულში, მორიდებით შევაღე რაიონული გაზეთის რედაქციის კარი.

- მობრძანდით, ქალიშვილო, რა გნებავთ? - მეკითხება ახალგაზრდა, ლამაზი მამაკაცი...

- გამარჯობათ, წერილი მოვიტანე,... - სახეალეწილი, მორცხვად ვუახლოვდები და ხელნაწერს ვაწვდი...

- ჰოო, ეს კარგია, დაბრძანდით, წავიკითხავ და გეტყვი, რა შეგიძლია, - მეუბნება და ხელნაწერს მართმევს. ცოტა ხანში, ოთახის კარი იღება და ტანკენარი გოგონები სიცილით შემოცვივდებიან.

- კოტე, იცი, სად ვიყავით? კასპის კოლმეურნეობაში, ალოობა დაიწყო და კომბაინერებს შევხვდით!...

- აბა, ლამაზებო, ჯერ ეს ქალიშვილი გაიცანით და მერე მიამბეთ ალოობაზე, - წამოდგა კოტე (ახლა გავიგე, რომ კოტე ამაშუკელი, რომლის წერილებს გაზეთის ფურცლებზე ვკითხულობდი, ეს ლამაზი ახალგაზრდა ყოფილა), - მან ხელით მიმიყვანა შემცბარ გოგონებთან და მეუბნება: ესენი ჩვენი „ანგელოზები" არიან: ნათელა ფარემუზაშვილი, ანეტა დავითაშვილი და ვალია თამაზაშვილი, არ გეცნობა ამათი გვარები?

- დიახ, ვკითხულობ მათ წერილებს, - დავიმორცხვე და „ანგელოზებს" შევხედე.

— კი, მაგრამ, ეს გოგონა ვინაა, „პრინცო?"

- დაინტერესდა ჩემით „ანგელოზი" ნათელა.

- კარგი შეკითხვაა, - იცინის კოტე, - ეს გოგონა სტუდენტია, ხოვლედან, ჩვენი ახალი შტატგარეშე კორესპონდენტი, ისეთი კარგი ნარკვევი მოგვიტანა, უკან არ დაიხევდით, ხელი თქვენც მოგეწერათ, როგორც ავტორებს, - შესცინა და ჩემი ხელნაწერი გაუწოდა გაოცებულ თანამშრომლებს.

- ეს „პრინცი" კოტე ამაშუკელია, - მომიბრუნდა ვალია თამაზაშვილი და მისკენ მიმახედა, - ჩვენი გაზეთის სული და გული, მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე, ამიერიდან, მასთან გექნება საქმე, ჩვენ კი მეგობრებად გვიგულე...

ამ შეხვედრამ დასაბამი მისცა ჩემს ურთიერთობას გაზეთის რედაქციასთან, ჯერ როგორც შტატგარეშე კორესპონდენტი, მერე კი, ოფიციალური თანამშრომელი (1966 წლიდან).

ის პირველი ნარკვევი უმალ დაბეჭდეს, მას ლექსებიც მოჰყვა, სხვა წერილებიც... იმ ლამაზ გოგონებთან მეგობრობა კი წლები გაგრძელდა და მოვიდა დღემდე, ქალბატონი ნათელა ფარემუზაშვილის სახით...

მანამდე კი, ბევრი რამ ვნახეთ და განვიცადეთ, 1962 წელს, კასპის რაიონი, მოსკოვის უგვანო გადაწყვეტილებით, ორად გახლიჩეს: სასოფლო რაიონად და სამრეწველო ქალაქად. გააუქმეს კასპის რაიონული გაზეთი და „მიგვაბარეს" ჯერ გორის „გამარჯვებას", მერე „მცხეთას". მეც ამ გაზეთების უშტატო თანამშრომელი გავხდი. ნათელა ფარემუზაშვილი კასპის მეორე საშუალო სკოლაში გადაიყვანეს, ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ანეტა დავითაშვილი - პირველ საშუალო სკოლაში, გეოგრაფიას ასწავლიდა, ვალია თამაზაშვილს კი, რაიკავშირში პროფკავშირის ორგანიზაცია ჩააბარეს, ასე დაქსაქსეს ეს ჩინებული მუშაკები და როცა 1965 წლის დეკემბერში, რაიონული გაზეთი აღადგინეს (კასპის გახლეჩა უგუნურად ცნეს და ძველი სტატუსი აღუდგინეს), არც ერთი მათგანი უკან არ დააბრუნეს, გარდა ზინაიდა ქისტიშვილისა, რომელიც კორექტორი იყო და გიორგი მალაციძისა (რედაქტორის მოადგილე გახლდათ გაუქმებამდე და მერეც, მე, ამ თანამდებობაზე 1973 წელს დამნიშნეს).

ქალბატონ ნათელა ფარემუზაშვილს, ამიერიდან მხოლოდ ქუჩაში ვხვდებოდი და თბილი სალმითა და მოკითხვით ვიფარგლებოდით, რედაქციასთან უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდა მის მეუღლეს, მწერალ გიორგი ხორგუაშვილს (მათი სიყვარულის ისტორია კი სწორედ გაზეთის გაუქმებამდე დაიწყო, რედაქციაში, სადაც გიორგი, პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა, მერე კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ჩაუდგა სათავეში, მოაწყო, უამრავი ექსპონატი მოიძია და შესძინა, დაამშვენა, გააფართოვა, მრავალი მეცნიერ-მუშაკი აღზარდა, ამაგი დაუფასეს და დღეს, მუზეუმი გიორგი ხორგუაშვილის სახელს ა ტ ა რ ე ბ ს . . . ალალმისი)....

რომ არ ველოდით, ისეთი წლები წამოგვეწია: ავადსახსენებელი, 90-იანი და შემდგომი, ქაოსის, ანარქიის, დაშლა-დაქუცმაცების, სამოქალაქო ომის, ... რა არ ვნახეთ: ყვავ-ყორნების შემოსევა, ომი - რუსეთთან, ოკუპაცია, ქართლის შუა გულის გახლეჩა, მტრის მიერ ტორდადებული აფხაზეთი, სამაჩაბლო...

გაძლება უნდოდა ამ ყველაფერს. ბევრმა ვერც გაუძლო: წავიდა რაიონული გაზეთის ძველი და ახალი თაობის ბევრი წარმომადგენელი, დავიქსაქსეთ, ვინ სად... მეც წავედი, ჯერ რედაქციიდან, მერე ქალაქიდან, კალამი დავდე (არა ჩემი სურვილით), თოხი და სეკატორი ავიღე, მიწას შევეჭიდე...

წლების მერე, ჩამოვედი კასპში და, ერთ დღეს, ტელეფონი რეკავს.

- ღმერთო, ვის გავახსენდი?- გაკვირვებული ტელეფონს ვიღებ: - გამარჯობა, ქალბატონო ნორა, გიორგი ვარ, ხორგუაშვილი, გამეხარდა შენი ხმის გაგონება, ქართული მწერლობის ბერმუხის, ბატონი გიორგი ლეონიძის შემოქმედებაზე ვმუშაობ, მასალებს ვკრებ მის მოგზაურობაზე ჩვენს რაიონში, ვიცი, რომ კარგი მოგონებები გაქვს მასზე, თუ თანახმა იქნები, წიგნში მინდა შევიტანო, ხომ არ მომაწვდი?

- აბა რაა, ახლავე გავამზადებ, როდისთვის გნებავთ?

- რაც მალე, მით უკეთესი!

- სად შეგხვდე?

- ჩემთან, სახლში, ლეხურის პირზე, აი, ნათელა (მეუღლე) მეუბნება, პურ-მარილს მე ვკისრულობო!

წავედი, შევუყევი მდინარე ლეხურას ნაპირს, გადავიარე საცალფეხო ბონდის ხიდი და მივადექი მწერლის ეზო-კარს. გაბადრული შემეგება დიასახლისი, გიორგისთან წარმადგინა, აივანზე სკამი დამიდგა და მომიბოდიშა: თქვენ ისაუბრეთ, მე სამზარეულოს მივხედავ, სიტყვას ვასრულებო (მისი „სიტყვა" კი მასპინძლობა გახლდათ).

მთელ იმ უგვანო წლებში, რაც ამ კატაკლიზმებმა თავს დაგვატეხეს, ყველაზე ნათელი წერტილი, ჩემთვის, ეს შეხვედრა იყო, მისი ხიბლი დღემდე მომდევს და არც გაფერმკრთალდება, ვიდრე მზეს ვუყურებ.

ვიცოდი, რომ ქალბატონი ნათელა ფარემუზაშვილი კარგი პედაგოგი გახლდათ, თავისი სიტყვა თქვა ჟურნალისტიკაშიც, ავტორიტეტით სარგებლობდა ქალაქში. მას უსმენდნენ, რჩევას ეკითხებოდნენ, პატივს სცემდნენ, მაგრამ, ასეთი კულინარიც თუ იყო, არ მეგონა. არაჩვეულებრივი სუფრა, თანაც იმ „ხიხრიკობაში", კარგი დიასახლისის გარდა, ვის შეეძლო გაეშალა? აი, თურმე, რატომ იყო სტუმრიანი გიორგი ხორგუაშვილის ოჯახი, რატომ მოიჩქაროდნენ ქართველი მწერლები და ხელოვანები მათთან, რატომ წერდა მწერალი ასეთ ღირებულ რომანებს და მოთხრობებს, რატომ დაჰკანკალებდა იგი, რუდუნებით შექმნილ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს... ყველაფერ ამაში კი, დიასახლისს რომ ლომის წილი ედო, იმ საღამოს დავინახე და დავრწმუნდი.

საუბრები გვიანობამდე გაგრძელდა, თვალწინ გავაცოცხლეთ რაიონული გაზეთის ორივე შემოქმედებითი კოლექტივის წევრები (გაუქმებამდელი და აღდგენის შემდგომიც):

- იცით, რა გაკვეთილებს ატარებდა ანეტა დავითაშვილი, კასპის პირველ სკოლაში? -

დასასრული გვ-4.

ვიდრე სიცოცხლე დამთავრდებოდა

*დასასრული.
გვეუბნება ქალბატონი ნათელა, - უმაღლეს დონეზე ჰქონდა აყვანილი გეოგრაფიის სწავლება, მოსწავლეები მეცნიერს უსმენდნენ და არა უბრალო მასწავლებელს...

- მე კი მგონია, შეცდომა იყო მისი რედაქციიდან წასვლა, კარგი ჟურნალისტი დავკარგეთ, ვთქვი დანანებით.., - ასე ვფიქრობ თქვენზეც, - მით უფრო, ენები იცოდით, რამდენ საინტერესო რამეს თარგმნიდით და მკითხველს შესთავაზებდით, - გავუღიმე დიასახლისს, - კომპლიმენტია? - არა, სრული სიმართლეა, თქვენი წერილები მახსოვს გაზეთის ფურცლებიდან, სიამოვნებით მოვაწერდი ხელს....

- კარგად წერდა ვალია თამაზაშვილიც, - თქვა გიორგიმ, - მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა იყო მიზეზი, რომ არ დაბრუნდა.

- კოტე ამაშუკელი?

- ოო, განუმეორებელი იყო, მოძრავი, დაუზარელი, განათლებული, ერუდირებული, კეთილი, სულ ღიმილი ჰქონდა ჩამდგარი თვალებში, ძალიან გვიყვარდა, ვწუხვარ, რომ არ მოიწვიეს აღდგენილ გაზეთში.

- იქნებ, თავად არ ისურვა?

- შეიძლება, თბილისიდან დადიოდა და ალბათ, გაუქმების შემდეგ, იქ იშოვა სამსახური, - ჩაილაპარაკა დიასახლისმა.

- მე მაინც, ანეტაზე და ვალიაზე ვწუხვარ, - გულდაწყვეტით თქვა გიორგიმ, - მარტოსულები დარჩნენ ეს უკეთილშობილესი, თვალტანადობით და განათლებით შემკული ქალიშვილები.

- ,,ცალხელა და ცალუღელა'', არა? - სიტყვა ჩამოვართვი გიორგის, ეს ალბათ, იმას ჰგავს, ცხენს რომ პალოზე დააბამენ, ის კი, საკვებისთვის განზე მიიწევს, რომ როგორმე მისწვდეს და ვერ ხედავს, პალოს ირგვლივ, რა მწვანედ ბიბინებს ბალახი. ასეა, იმდროინდელი (და არა მარტო) ახალგაზრდების საქმეც, როგორ დატოვეს ეს ულამაზესი ქალიშვილები ,,ცალხელა და ცალუღელა'', ჰააა?!...

- აბა, ეგა თქვი! - მიდასტურებს დიასახლისი...

... მთელი საღამო მოგონებებში გავლიეთ, რიგითი ჟურნალისტების მერე, რედაქტორები გავიხსენეთ, დიდებული ბატონების: ალექსანდრე ბეჟანიშვილის და მწერლისა და დრამატურგის, გურამ კლდიაშვილის იუმორით გაჯერებული ოხუნჯობები, ომგადახდილი გიორგი მალაციძის (მათი მოადგილის) ფრონტული წარსული, რედაქციის ,,დედა ტერეზას'', ზინაიდა ქისტიშვილის ქველმოქმედებები, სოფელზე შეყვარებული ჩვენი ირაკლი სოზიაშვილის სისუსტეები (ლუდზე), რა არა და ვინ არა, არც ის ავყიები დავივიწყეთ, შურითა და მტრობით რომ ჩრდილავდნენ ჩვენს ცხოვრებას...

,,გზა მართალს წასულებს'' ანთებული სანთლებითა და პურზე ღვინის დაწვეთებით მივაგეთ პატივი, მერე, გიორგი ხორგუაშვილის ახლად გამოცემულ წიგნებზე და ისტორიულ ნარკვევებზე ვისაუბრეთ, ბოლოს კი, გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ჩემი მოგონებები დავუტოვე და მადლიერებით დავემშვიდობე მასპინძლებს..

ამის შემდეგ დაიწყო ჩემი ნამდვილი მეგობრობა ქალბატონ ნათელა ფარემუზაშვილთან, სულ ნანობდა, - რატომ ადრე არ დაგიახლოვდიო, ჩვენ უფრო ტელეფონით ვსაუბრობდით, თუმცა, სულ მეპატიჟებოდა, მწერლის გარდაცვალების მერეც (სამწუხაროდ, ქალაქიდან ვიყავი გასული და უკანასკნელ გზაზე ვერ გავაცილე) უფრო ინტენსიური გახდა, მიყვებოდა მის შემოქმედებაზე, წაკითხული მქონდა თუ არა გიორგის ესა თუ ის რომანი, რა შთაბეჭდილება დამრჩა... ერთხელაც, განერვიულებულმა დამირეკა და რჩევა მთხოვა. ვიღაც ,,მეცნიერს'' თავის ნაშრომში, უსარგებლია გიორგი ხორგუაშვილის ისტორიული ნარკვევით და სიტყვა - სიტყვით გადაუტანია მისი სტრიქონები, თავის წიგნში, ისე, რომ არ მიუთითებია გიორგი ხორგუაშვილის გვარი, იმ პლაგიატს არ შევარჩენო, - მითხრა, - როგორ მოვიქცეო. - გიგას ჰკითხე მეთქი, - ვუთხარი (გიგა, მათი შვილი, ჩინებული ჟურნალისტი და შემომქმედია). - შენი აზრი მაინტერესებსო, დავაკვალიანე და მერე, ,,რკინის ქალამნები'' ჩაიცვა, რედაქციას მიაკითხა, სადაც იმ ,,მეცნიერს'' დაუბეჭდეს, წინ გიორგი ხორგუაშვილის წიგნები დაულაგა და მისხალ-მისხალ დაუდასტურა პლაგიატობა.

ასეთი იყო ქალბატონი ნათელა ფარემუზაშვილი: მებრძოლი, განათლებული, მართალი, მოყვარული, მეუღლის შემოქმედების ტრფიალი და დამცველი...

მერე, მიზეზთა გამო, ვეღარ მოვიკითხე, თავად კი, პარიზიდან შეგვეხმიანა და გვაცნობა, რომ შვილებმა ამაგი დაუფასეს.

ჰო, ერთხელ მოვედით მზის ქვეყანაში და განგება როდის დაუსვამს წერტილს ჩვენს სიცოცხლეს, არავინ ვიცით. მარადიულობაში წავიდა ქალბატონი ნათელა ფარემუზაშვილიც, წავიდა და დახურა 50-60-იანელთა თაობის, რაიონული გაზეთის რედაქციის კარი, როგორც ,,უკანასკნელმა მოჰიკანმა'' მერედა, რა დროს? სამიოდე თვეში, გაზეთ ,,ახალ განთიადს'' დაარსებიდან 90 წელი უსრულდება (მათ დროს ამ გაზეთს ,,კომუნიზმისაკენ'' ერქვა), დასანანია, რომ ვერ დაესწრება საიუბილეო საღამოს (თუ კოვიდმა არ შეგვიშალა ხელი), დარწმუნებული ვარ, რარიგად დაამშვენებდა მას, ეს ვეტერანი პედაგოგი და ჟურნალისტი, რომელმაც ხანდაზმულობაშიც შეინარჩუნა ქალური ხიბლი და გონიერება.

მე კი, ის დამრჩა, რომ გამოსათხოვარი სტრიქონებით მივაგო პატივი ამ დიდებული ქალბატონის ხსოვნას, უკან დავადევნო დუმილის ცრემლი, განშორების ტკივილი და სინანული...

გარეთ, ,,მზის ნაღვერდალზე იწვის ივლისი, აშურიანის ველზე, საბელს წყვეტს დასიცხული ქარი, საჩრდილობლის ძებნაში, ქალაქის განაპირას, სასაფლაოზე დახეტიალობს, მწერლისა და მისი თანამეცხედრის, პანთეონად ქცეულ საძვალეებთან ჩერდება და წუთისოფლის ამაოებაზე მოთქვამს''

ნორა ედიშერაშვილი,
ივლისი, 2021 წელი.

სარაიონო გაზეთის რედაქცია წინა საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, ცემენტის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქის პატარა, 2-სართულიანი შენობის მარცხენა მხარის ფლიგელში იყო განთავსებული, საკუთარი ფართი არ გააჩნდა და სტამბაც განცალკევებით განთავსებულიყო იმავე ქუჩაზე. "განთიადი" კვირაში სამ ნომრად ხუთ პატარა ოთახში მზადდებოდა.

რედაქციელი ძველი დროიდან



მახსოვს, რედაქციის ახალბედა კორესპონდენტს სამუშაო მაგიდა იმ ოთახში გამომიყვეს, რომელშიც, როგორც მოგვიანებით გავიგე, თითქმის 20 წელი სარედაქციო რუდუნებით საქმიანობაში მოეთავებინა მას — 60 წლის ასაკს მიღწეულ ირაკლი სოზიაშვილს, ვინც წლოვანებით ყველა რედაქციელზე, თვით რედაქტორზეც კი, უფროსი ბრძანდებოდა. ამიტომაც მასთან პირად საუბარში "ამხანაგო ირაკლი" იშვიათად თუ წამოგვცდებოდა ახალგაზრდებს. ეს კი არა, იგი ყველასათვის ბრძანდებოდა ძია ირაკლი.

დღემდე ჩემს მეხსიერებაში წყნარი ხასიათის, მშვიდი შინაგანი ბუნების, გაწონასწორებული, საამოდ მოსაუბრე კაცის სახიერი პორტრეტით დარჩა. ახლაც მიკვირს, იმჟამად მის პიროვნებაში როგორ ვერ შევიცანი ნაფრონტალი, მსოფლიოომგამოვლილი ვეტერანი. არადა, მისნაირი კაცის შვილი თვითონვე ვიყავი და 2-წლიანი სამხედრო სამსახურიც მოთავებული მქონდა. ირაკლი ძიას ომამდელი კომისარიატელის წლების ზეგავლენაც ჩამოეფერთხა და ფრონტული ცეცხლოვანი გზების ფერიც ოსტატურად გადაეყარა: მისი სარედაქციო მოწოდება აწ მშვიდობიანი მშენებლობის ლიანდაგზე იყო გადაწყობილი და მორგებული. ძია ირაკლი 1956 წლიდან ვიდრე 1976-მდე, ანუ დამსახურებულ პერსონალურ პენსიაზე გასვლამდე, სარაიონო გაზეთში განაგებდა სოფლის მეურნეობის განყოფილების საქმიანობას, საქვეყნო სახალხო მეურნეობის სწორედ იმ დარგს, ყველაზე ახლოს რომ იცნობდა და მისთვის ხარკიც გაეღო, როგორადაც პარტიული ნომენკლატურის ნაცად მუშაკს. ძალიან გვიან გავეცანი ძია ირაკლის ცხოვრებისეული მოღვაწეობის ბიოგრაფიულ შტრიხებს. ესაა ტიპური პორტრეტი პარტიული კადრის ერთგული და უღალატო პიროვნებისა, სხვა ათასების მსგავსი და მათდა დარად, ვის მხრებზეც გადაიარა ერთ დროს მსოფლიოში უდიდესი და უმძლავრესი ქვეყნის შენების, ეკონომიური აღმავლობის, ომიანობისა და მშვიდობიანობის, კვლავ ფენიქსისებური აღდგენის, სოციალისტური მშენებლობის ეპოქალურმა წლებმა:

— დაიბადა 1910 წლის 25 ოქტომბერს სოფელ ქვემო ჭალაში;

— გააჩნდა მრავალპროფილური სამოქალაქო განათლება: გორში დაამთავრა პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, 2-წლიანი პარტიული სკოლა;

— დააგროვა სამუშაო უდიდესი გამოცდილება: ჯერაც ომამდე მსახურობდა მუხრან-ტირიფონის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში აგროტექნიკოსად; ქვემო ჭალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ (საფინანსო დარგში); რაიონის საფინანსო განყოფილების ინსპექტორად; სამხედრო კომისარიატში განყოფილების უფროსად; ომისშემდგომ პერიოდში — რაისაბჭოს აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგედ; პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, შემდეგ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ და, ბოლოს, რაიონული კომიტეტის მდივნად... და, აი, ამის შემდგომ იყო ის 20-წლიანი სარედაქციო ფუსფუსი, როცა ძველებური ყაიდის, შავმუშამბაგადაკრული, ხის მაგიდის ზედაპირზე იწერებოდა საგაზეთო წერილები, ოპერატიული ინფორმაციები მორიგი ნომრის გვერდებისათვის.

... ბატონ ირაკლი სოზიაშვილს ხანგრძლივი შრომითი და საბრძოლო დამსახურებისათვის მიღებული ჰქონდა არაერთი სახელმწიფო ჯილდო. იგი გარდაიცვალა ზუსტად 26 წლის წინ, 1995 წლის ივლისში.

ჩვენ გვახსოვს ძველი განთიადელები.

"თხოთი" — ხალხური საკრავების სანზავშვო ანსამბლი

ვინ არიან ისინი და მათი პედაგოგი, ვისაც 21-ე საუკუნეშიც ახსოვსნებს მშობლიური სოფლის ისტორიულ-ქრისტიანული მთის წვერიდან ამობრწყინებული ცხოველი მზის ნათელი სხივი

ჩვენი გაერთიანების ივლისის საგაზეთო პუბლიკაციაში ვიუწყებოდით სოფელ აღაიანის სასოფლო კლუბთან არსებული ქართული ხალხური საკრავების ანსამბლის "თხოთის" (ხელმძღვანელი — თამაზ დურგლიშვილი) მიერ იმავე თვის დასაწყისში შავიზღვისპირეთში, კერძოდ, ბათუმ-ქობულეთში, მიღწეული წარმატების თაობაზე რესპუბლიკურ შემოქმედებით 38-ე ფესტივალში "ჩემი ლამაზი ქვეყანა — ბათუმი - 2021". დაპირებისამებრ, ამჯერად გთავაზობთ საგაზეთო წერილს ანსამბლ "თხოთის" შესახებ.

✦ ანსამბლის ხელმძღვანელი

თამაზ (ბიჭიკო) დურგლიშვილი ორიოდე წელში 70 წლის შესრულდება. რაც თავი ახსოვს, მღერის... სიმღერის ნიჭი ბავშვობიდანვე დაებედა, რასაც მტ

გაგრძელება გვ5.

“თხოთი” – ხალხური საკრავების საბავშვო ანსამბლი

***დასასრული.**

კვრისხეობელ ბაბოს, ძეგველი კვერცხიშვილის ქალს, უმადლის. მისი გამოისობით იყო, რომ აღაიანელი დურგლიშვილების ჭერქვეითში, ცხოვრებისეული ცალკეული სიდუხჭირის მიუხედავად, ხშირად გაისმოდა ძველი ქართული სიმღერებისა და საგალობლების ჰანგები. მაშინ შინ თითქმის ყველა ამღერდებოდა, ანდა, გულში წაიღიღინებდა.

დავაჟკაცებულმა სამხედრო-სავალდებულო სამსახური მოიხადა თუ არა, 1974 წელს სწავლის გასაგრძელებლად მიაშურა ქ. თბილისის სერგო ზაქარიაძის სახელობის სასწავლებელს და დიდი გულისყურით შეუდგა პროფესიული დაოსტატების გზას. შემთხვევითი არაა, რომ იგი გახდა სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებული – სპეციალობით “გუნდის დირიჟორი”.

თბილისში სწავლის პერიოდსა და მომდევნო რამდენიმე წელშივე შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას, თვითონ ხომ გამოდიოდა სცენაზე და, თანაც, საკუთარი შესაძლებლობები მოსინჯა ფოლკლორული გუნდების მომზადებით.

იგი სხვადასხვა პერიოდში გამოდიოდა, როგორც მომღერალ-ინსტრუმენტალისტი, საქართველოს რადიო-ტელევიზიის ვაჟთა აკადემიურ გუნდში, რომელსაც ლოტბარობდა ბ-ნი თემურ ქევხიშვილი. პარალელურად, ხშირად იწვევდნენ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სააღმზრდელო ცენტრში (ე. წ. “არტოს ბაღი”), რადგანაც მის შესაძლებლობებს სათანადოდ აფასებდა ცნობილი თანამედროვე მუსიკოს-შემსრულებელი ომარ კელაპტრიშვილი.

გააჩნია, ასევე, უცხოეთში წარმატებული გამოსვლების საამაყო გამოცდილება: ეს იყო რუსეთის ქალაქებში, გერმანიაში, ბულგარეთში, ესპანეთში... ქ. ბარსელონასთან ახლოსაა პატარა ქალაქი ლორეტ–დე, სადაც საკუთრივ რგებია “გრანპრი”.

ახლა კარგად აღარც კი ახსოვს, როდის დაინიშნა მშობლიური სოფლის კულტდაწესებულების – კლუბის გამგედ და იქაური გუნდების სამხატვრო ხელმძღვანელად. ანდა, განა, აუცილებელია წელთა რაოდენობის დაკონკრეტება? – ის თავისი საყვარელი სოფლის კულტურულ-სასცენო ცხოვრების თავკაცია და მორჩა! თავისი, მხოლოდ მისეული, მრავალწლიანი გამოცდილებით, დაუღლელობით, კვალიფიციურობით, პროფესიონალიზმით, ერთხელ არჩეული საქმისადმი ერთგულებითა და უღალატობით!

✦ პირველი “სხივიდან” – წმინდა მთის სახელის შეუბღალაობამდე!

ასეა, “თხოთის” პირველჩანასახი მიმდინარე საუკუნის დამდეგიდან გამოჩნდა. სახელი ისეთი თბილი და კეთილხმოვანი დაენათლა – “სხივი”, როგორიც ცისკრისჟამს ამობრწყინებული მზის პირველი სხივებია. ამიტომ იყო, რომ აღაიანში უმალ შენიშნეს “სხივის” სადებიუტო გამოსვლები და კიდეც შეაფასეს: – სოფლის ცხოვრების ყოველდღიურობაში ეს ჩვენი “სხივი”, მართლაც, მზის ნათელი სხივივით შემოიჭრაო!

პირველსხიველები იყვნენ: ირაკლი ქაწაშვილი (იგი ახლა უკვე თვითონ ახელოვნებს მოზარდ თაობას), ილია გივიშვილი, მერი გამხიტაშვილი... ეს ის პერიოდია, როცა ანსამბლის წევრებს არ ჰყოფნიდათ დასაკრავი ინსტრუმენტები, მოჰქონდათ შინიდან, იძენდნენ ნაცნობებში და ა. შ. კასპის რაიონის იმჟამინდელი კულტურის განყოფილების თავკაცები ყოველნაირად ხელს უწყობდნენ პატარებს და მათ ენერგიულ, სახვალიო იმედებით აღსავსე ხელმძღვანელს, ენდობოდნენ მათ და დედაქალაქურ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის უფრო ხშირად და უფრო გაბედულად გზავნიდნენ.

თამაზ დურგლიშვილი ერთ შემთხვევას იხსენებს:

– ქ. თბილისის “ჩაის სახლში” მიგვიწვიეს. პატივი დაგვდეს, წარმოების მოწინავე ადამიანებთან საზეიმო შეხვედრა დაგვემშვენებინა საკონცერტო გამოსვლის რამდენიმე ნომრით.

“სხივის” გოგო-ბიჭებმა საშემსრულებლო ოსტატობით უამრავი ცნობილი პიროვნება მოხიბლეს. კონცერტის შემდეგ გასახდელში შემოგვიარა იმჟამად უკვე პოპულარულმა კინომსახიობმა გივი ბერიკაშვილმა. ყველა შეგვაქო, ხოლო პირადად მითხრა: – კოჭებში გატყობთ, რომ თქვენი ანსამბლი მალე დიდ სახელს დაიგდებსო!

იმ შემთხვევიდან დიდი დრო გავიდა და ერთხელ, ამ ხუთიოდე წლის წინ, ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევხვდით, ამჯერად სოფელ წეროვანში, ლტოლვილთა დასახლებაში. ის ძველი ამბავი გავახსენე და ახლა მე ვუთხარი: – ბატონო გივი! თქვენი ავანსად გაცემული შეფასება, ვფიქრობ, რომ ნამდვილად გავამართლეთ! ის არა მარტო დამეთანხმა, არამედ ძველ-ახალი აღტაცების დასტურად, შექებით ისევ გაგვახარა: – თქვენ ნამდვილი მაესტრო ყოფილხართო! მე ხომ გადამეხვია და ხელი ჩამომართვა, ანსამბლის ყველა წევრს თავზე ეამბორა...

✦ მესამეთაობელები

ანსამბლის შემადგენლობაში რამდენიმე თაობის გოგო-ბიჭები შეენაცვლნენ ერთმანეთს. ხელმძღვანელის თვალთახედვით კარგად იკვეთება, რომ სულ უფრო მომზადებული “მზა მასალა” მოდის. საკმარისია თვით დაწყებითი კლასების ბავშვებთან მცირეხნიანი მუშაობა, რომ დარწმუნდეთ, – ისინი ერთი ნაბიჯით წინ არიან წინამორბედებზე.

ამჟამად გუნდის ყველაზე მცირეასაკოვანი წევრები არიან: დები ლიზი და ანუკი ოდოსაშვილები, ბარბარე ოდოსაშვილი, თათა გელხაური, ნათია ჯახაშვილი და ბარბარე სულამანიძე.

წამყვანი წევრებისა და სოლისტების ვინაობა გაინტერესებთ? – ხელმძღვანელი მათ გვარებსაც სიამოვნებით ჩამოგითვლით: ნინი ოდოსაშვილი, გიორგი გელხაური, თათია ტალახაძე, ლიკა პეტრიაშვილი, ანი გრიგოლაშვილი, მარიამ ფეიქრიშვილი...

ისინი და მათი მეგობრები 4–5-წლიანი სწავლების განმავლობაში თანმიმდევრობით ეუფლებიან დაკვრას ხალხურ საკრავებზე – ფანდურზე, ჩონგურზე, დიპლიპიტოზე, სალამურზე, დოლზე, გარმონზე...

მათ საშემსრულებლო რეპერტუარშია როგორც ქართული ხალხური, ასევე, უცხოური კლასიკური მუსიკალური ნომრები.

✦ აღაიანში გაისმის სვანური საგალობლები

ქსნისპირა ქართლურ სოფელში სვანი ახალმოშენეები გასული საუკუნის მიწურულში გამოჩნდნენ. მათი ნაწილი დღემდე შემორჩა ახალ სამოსახლოს. მათ შორის გახლავთ გივი ლიპარტელიანი – დიდი ხელოვანი, სიმღერაზე შეყვარებული კაცი. მშობლიურ მხარეში ცხოვრებისას იგი ძალოვან სტრუქტურაში მსახურობდა, სამუშაოდან თავისუფალ დროს კი მთლიანად სახელოვნებო სამყაროში იყო ჩართული – მღეროდა და უკრავდა იქაურ ანსამბლებში.

გასაკვირიც იქნებოდა, სოფელ აღაიანში ასეთი გატაცების კაცისა და თამაზ დურგლიშვილის კულტურულ-მუსიკალური საქმიანობის გზები არ გადაკვეთილიყო.

აკი ასეც მოხდა: 2008 წლიდან, როცა საქართველოში მძიმე ჟამი ჩამოდგა, ამ ორმა ხელოვანმა ხელი ხელს დაკრეს, გულის წადილი ერთმანეთს გაანდეს და ერთობლივი მოწადინებით აღაიანში შექმნეს ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი. სახელიც ლამაზი და სიმბოლური შეურჩიეს – “ნანილა” (ესაა სვანური საგალობელი).

“ნანილას” ნორჩი მუსიკოსები რამდენჯერმე წარმატებით წარდგნენ რესპუბლიკურ ფესტივალებზე, მონაწილეობდნენ ბოლოდროინდელი “კასპობის” საკონცერტო პროგრამებშიც.

✦ “ახალგორი” წეროვანში

წეროვანიც ქსნისპირა სოფელია, ტერიტორიულად მცხეთას ეკუთვნის. იქ ახლა დიდი დასახლებაა, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისა, ბოლო 10-წლეულში რომ გაჩნდა. იქაურების უჩვეულო ყოფაში სწორედაც ხელოვნებას ეკისრება საგანგებო როლი და დატვირთვა.

თამაზ დურგლიშვილის გულისთქმა წეროვნელი გოგო-ბიჭების გატაცებასაც გადასწვდა, მათში არაერთია მუსიკალური ნიჭითა და მონაცემებით გამორჩეული. მოხდა ისე, რომ პატარა ჯგუფს მოუყარა თავი კვირაში ორ დღეს სამეცადინოდ.

მერე, პირველმსურველების კვალობაზე, სხვა ბავშვებიც გამოჩნდნენ და საქმე იქამდე მივიდა, რომ სულაც ანსამბლის კონტინგენტი გაჩნდა. ასე და ამგვარად, წეროვანში ამჟამად მოქმედებს ხალხური საკრავების ანსამბლი. მის შემადგენლობაში არიან ქსნისხეობელი და ახალგორელი მოზარდები.

... და რა უნდა ერქვას მდინარე ქსნის სათავიდან იძულებით გამოხიზნული, ამჟამად მის შესართავში მცხოვრები ადამიანების ახალთაობელთა ანსამბლს, თუ არა “ახალგორი”?

✦ როდის დაიძვრება თხოთელების “მატარებელი” პოლონეთისაკენ...

ივლისის დასაწყისში “თხოთის” გოგო-ბიჭებმა შავიზღვისპირეთში გამოსვლა წარმატებით რომ დაასრულეს და ტრადიციული ფესტივალის “გრანპრით” დაბრუნდნენ აღაიანში – ეს უკვე ითქვა პუბლიკაციის შესავალში, თუმცა არა უმთავრესი:

ბათუმ-ქობულეთში იმ ფესტივალს არაერთი უცხოელი მუსიკალური იმპრესარიო ესწრებოდა დაინტერესებული სტუმრისა და სპეციალისტის სტატუსით. ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ, პოლონეთის მუსიკალური წრეების მაღალი დონის ჩინოსანმა, იხილა და მოიხიბლა რა ქართლის სოფელ აღაიანის ბავშვთა ანსამბლის საშემსრულებლო ოსტატობით, პოლონური მხარის სახელით კერძო მიწვევა შესთავაზა ფესტივალის ორგანიზატორებსა და თვით “თხოთის” თავკაცს.

... გართულებული პანდემვითარების მიუხედავად, თურმე, აღაიანელი ბავშვები ახალი ნომრების მომზადებასაც აგრძელებდნენ. ანსამბლის თავკაცის თქმით, თითქმის დაასრულეს მუსიკალური ნომერი, რომელიც დაახლოებით 5-წუთიანი ხანგრძლივობისა იქნება და მოგვაგონებს სარკინიგზო შემადგენლობის ხმაურიან სვლას (როცა მატარებელი სადგურიდან გადის საყვირით, შემდეგ ბორბლების აჩქარებული რიტმი და გაქროლება), მართალია სცენაზე, მაგრამ რეალურად მიახლოებულთან.

ვნახოთ, როდის ჩამოდგება პანდემსიტუაციური შემდგომი მშვიდი დროება და როდის “დაიძვრება” აღაიანური მუსიკალური “მატარებელი”!

საბავშვო ბაღი „ნატბეურაზე“

გრძელდება ჩვენი სერიული პუბლიკაციები ქალაქისა და სოფლების საბავშვო ბაღების ისტორიული მზარის წარმოჩენის მიზნით. ქვემოთ საუბარი წარიმართება ქასპის №5 საბავშვო ბაგა-ბაღის შესახებ. ქალაქის მასშტაბით მისი არსებობა ყველაზე ნაკლებ დროს მოიცავს – წლევანდელ ნოემბერში მისი დაარსებიდან 35 წელი შესრულდება. განვლილი დროის განმავლობაში გადატანილი პერიპეტიების, პედკოლექტივის მიერ მუშაობაში დაძლეული ფაქტორების, იქ მომუშავე პედაგოგებისა და აღმზრდელების ამაგისა და სხვა გასახსენებელი მომენტების თაობაზე გვესაუბრება მისი გამგე ლამარა (ლალი) მილაძე:

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის კასპში მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გახსნის საკითხი, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში – ქეჩარუხისა და ვარჯაანის უბნების მოსახლეობის განაშენიანებაში.

1986 წლის ნოემბრის დასაწყისში ე. წ. “ნატბეურას” ტერიტორიაზე მწყობრში ჩადგა ტიპიური შენობა. იმჟამად ის რაიონის განათლების განყოფილების დაქვემდებარებაში ირიცხებოდა, შემდეგ კი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაშია.

საბავშვო ბაღის გამგედ ლიანა ნიპარიშვილი დაინიშნა, მან 1989 წლის ჩათვლით იმუშავა. მისი სამსახურებრივი წინსვლის გამო, გამგის ადგილმონაცვლის პატივი წილად მხვდა, როგორც ამ დარგის კვალიფიციურ სპეციალისტს (დამთავრებული მაქვს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობით). დღემდე, აგერ, 33 გრძელი წელია, ჩვენს კოლექტივს ვუძღვები.

ვერაფერი და ვერავინ დამავიწყებს ჩვენი ბაღის კოლექტივის პირველ შემადგენლობას:

მნე – ლილი (ელისაბედ) მეტრეველი; აღმზრდელები – ნანა ჯამალაშვილი, მაია მაღლაფერიძე, ლიანა ქსოვრელი, მაია ბაინდურაშვილი, (მეც – მათ შორის); თანაშემწეები (ძიძები) – თინა (ქრისტინე) მილაძე, ოლია სპარსელაშვილი, მედიკო ბაინდურაშვილი, მედიკო ქავთარაძე; მუსიკის პედაგოგი – ლელა სულაშვილი; მზარეულები – მარინე (დონარა) ზაქარიაშვილი, მაყვალა სამხარაძე, ლალი გოგიაშვილი; მეთეთრეულე – ნინელი ზაქარიაშვილი და სხვები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს იმაში, რომ ქალაქის კიდევ ერთ სკოლამდელ დაწესებულებას მყარად გადაედგა პირველი ნაბიჯები.

არადა, იმჟამად, სულ რამდენიმე წელში, ისეთი დროება დაგვიდგა და იმგვარი სიძნელეები გამოვიარეთ, ახლა, დროის გადასახედიდან, დაუჯერებლად რომ გვეჩვენება თვითონვე: მთელ ქვეყანაში გაჭირდა ცხოვრება, იყო უშუქობა და უგაზობა, გავმართეთ შეშის ღუმელები, მაგრამ ჭირდა საწვავი შეშის შოვნა, ტყეში მოჭრა და მოტანა. ბედად, დახმარებას გვიწევდა კასპის საკონსერვო ქარხნის ხელმძღვანელობა – დროდადრო გვაწვდიდა ხის ტარა-მასალის ნარჩენებს... შემცირდა პატარებისათვის აუცილებელი საკვები პროდუქტებით მომარაგება, ამიტომ პერიოდულად შინიდან გვიხდებოდა პურის, ბურღულის, ცხიმის მოტანა. ბავშვებსაც წამოუღიათ ორ-ორი ნაჭერი...

ერთი შეხედვითა და ახლანდელი გახსენებით, ეს ყველაფერი, ყოფითი და საარსებო ძველი პრობლემები, თითქოს მარტივი და ადვილი მოსაყოლია, მაგრამ ჩვენი რეალური ყოფის გამოძახილია, დალექილია მეხსიერების სკივრში...

ახალგახსნილ ბაღში არ გვყოფნიდა სამეცადინო და გასართობი თვალსაჩინოებანი, ჰოდა, ყველაფერს საკუთარი ხელით ვამზადებდით, დგამ-ავეჯიც აგვიწყვია და კედლებიც გვიხეხია, ეზო შემოგვიღობავს და ტერიტორიას დარაჯებად დავდგომივართ.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბაღის თითოეულ თანამშრომელს არ უღალატია თავისი საქმისათვის, ყველა პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას...

ახალი საუკუნის დადგომიდან სასიკეთოდ შეიცვალა საერთო ვითარება და ეს დაეტყო სააღმზრდელო დაწესებულებებსაც, ცხადია, ჩვენს ბაღსაც, მაგრამ 2008 წლის საომარმა სიტუაციამ კვლავ დაგვაზარალა, კარგახანს შეაფერხა სააღმზრდელო პროცესი, ბაღის შენობაც დაიცალა... ერთ ღამეს იგი ლტოლვილებმა დაიკავეს. მაშინ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ გადაგვერჩინა თვითონ შენობა და იქ არსებული ინვენტარი.

ჩამოდგა კვლავაც მშვიდობიანი პერიოდი და ისევ დავბრუნდით ბაღში, დიდებიცა და პატარებიც. ქვეყნის მართვის სათავეში მოსული ახალი ხელისუფლების მიერ ბაღებში ბავშვთა კვება არა თუ პრიორიტეტული, არამედ უფასოც გახდა, შემოვიდა საუკეთესო პროდუქცია, გაყინული ხორცეული ამოღებულია ხმარებიდან, ე. წ. “დაჩა” ჩანაცვლდა ნატურალური კარაქით... დაიწყო საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, კაპიტალური რემონტი. გაკეთდა ცენტრალური გათბობა, სრულად შეიცვალა სასმელი წყლის მილგაყვანილობა, განახლებულია, ასევე, ბუნებრივი გაზისა და ელექტროქსელის სისტემები.

ამან გააჩინა შესაძლებლობა, რომ შექმნილიყო იდეალურთან გათანაბრებული პირობები ჩვენი ბავშვებისათვის.

სადღეისო მიზანი უმთავრესია: აღვზარდოთ სასახელო მოზარდი თაობა. საბავშვო ბაღი, საერთო განათლების სისტემაში, პირველი რგოლია, იგი საიმედოდ ჩასხმულ საძირკველს მოგვაგონებს, რომელზეც უნდა დაშენდეს ხვალის საზოგადოება. აღზრდა-განათლება ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი საზრუნავი და მისი კეთილი ნერგი მუდამ უნდა ხარობდეს. აბა, რატომ არ აღვნიშნოთ ასეთი ფაქტი: კასპის საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების პედაგოგები გულთბილ მადლიერებას გამოხატავენ, როცა მათთან ჩვენგან მიდიან სასკოლო განათლებისათვის სათანადოდ მომზადებული გოგო-ბიჭები (უფროსი ჯგუფის აღმზრდელი – ნანა ჯამალაშვილი).

ჩვენთან ადრე თუ გვიჭირდა დაშეინიშნებოდა სააღმზრდელო ჯგუფების შემცირების ტენდენცია, კარგახანია, რაც გავზარდეთ ბავშვთა კონტინგენტი და დავამატეთ ახალი ჯგუფები. ახლა ბაღში უკვე 5 ჯგუფი ფუნქციონირებს. მოვიდნენ ახალი თანამშრომლებიც, მათ შემოიტანეს სადღეისო ხალისი და მეტი მუხტი. ბავშვთა რაოდენობა 150–160-ის ფარგლებშია.

ყველასათვის ძალზე დასანანი, დასაფიქრებელი და შემაფერხებელი მსოფლიო მასშტაბით 2020 წელს აფეთქებული კოვიდპანდემია, რა თქმა უნდა, შეეხო საქართველოსაც და ჩვენს ბაღსაც. პანდემიურმა რეჟიმმა კიდევ უფრო წარმოაჩინა ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებით დღემდე არსებული გამოწვევები, აშკარად დაგვაყენა უცხო რეალობის წინაშე, რომელიც მოითხოვდა მობილიზებულ და მყისიერ მოქმედებას. კარგია, რომ საქართველოში, ჯანდაცვასთან ერთად, განათლების სფეროსაც აღმოაჩნდა სწრაფად რეაგირებისა და პასუხისმგებლობის ის დონე, რომ სასწავლო წელი არ შეწყდა და წარიმართა დისტანციურად. ამ მხრივ სკოლამდელი განათლება ყველაზე რთულად მისაწოდებელია თითოეული ოჯახის დონეზე. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ბავშვებზე ზრუნვა პანდემიის პერიოდშიც

არ შეუწყვეტია. თვეების განმავლობაში, როცა ბაღი არ საქმიანობდა, პატარებს შინ მიეწოდებოდათ კუთვნილი საკვები პროდუქტი.

სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობს კოვიდ–19-ის საწინააღმდეგო რეკომენდაციების სრული დაცვით. ასეთ დროს ფასეულია ის მითითებები და საქმიანი წი

გაგრძელება გვ8.

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔᲡ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ...

ქვემოჭალელი ჭაბუკი მოჭიდავე თორნიკე გორჯოლაძე 14 წლისა აპრილში გახდა. კასპში სავარჯიშოდ ხან მამას ჩამოჰყავდა, ხანაც – პაპას. ის ორივეს გულის გამხარებელია. იმედებს უმართლებს ბერდია მწვრთნელსაც. ძიუდოა თორნიკეს არჩევანი, თუმცა ქართულსაც კარგად ჭიდაობს. წელს მან თანატოლთა შორის კასპშიც გაიმარჯვა და სულ ახლახან – ქ. ახალციხეშიც, სადაც იქაური ცნობილი სპორტის ქომაგის, მიხეილ იაძის ხსოვნის ტურნირი ჩატარდა.

თორნიკე ახალციხიდან გამარჯვებული მობრუნდა. ის პირველი იყო მისთვის ახალ წონით კატეგორიაში, ბიჭმა უკვე 55 კილოგრამს უწია.

სხვათა შორის, ახალციხეში კიდევ ორმა ჩვენებურმა იყოჩაღა: ალეკო ხიზამბარელმა პირველობა მოიპოვა (45 კგ.), ხოლო შოთა პატარქალაშვილი (66 კგ.) მე-2 ადგილზე გავიდა. თორნიკეს რაც შეეხება, მისი და მისი მამა-პაპის სასპორტო შემდგომ გეგმებში სიახლეა: ახალი სასწავლო წლიდან პერსპექტიული ჭაბუკი მოჭიდავე თბილისში იცხოვრებს და ისწავლის, ცხადია, დედაქალაქშივე ივარჯიშებს. თორნიკე უკვე წლევანდელი ზაფხულიდან გახდა თბილისის ძიუდოს კლუბი "ლიდერის" წევრი. მისი იქაური მწვრთნელის ვინაობაც გვაცნობა თორნიკემ, – ალეკო მამუკიშვილის შეგირდი გავხდიო!

ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲛᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲨᲕᲔᲜᲐ

ლამისყანელებს ჭიდაობის სიყვარული ოდითგან მოსდევს. იქაურები შინ თუ გარეთ ხშირად ხომ ჭიდაობენ და თვითონაც მართავენ შეჯიბრებებს. აბა, მათ სოფელში ივლისის ბოლოს ისე როგორ ჩაივლის სახალხოსაეკლესიო დღეობა "ივლიტობა", ამასთან დაკავშირებით თვალსაჩინო მშვენიერი ასპარეზობა რომ არ გააწყონ საჭიდაო არენაზე, "გურამიშვილისეული ბაღის" ფშანის ნაპირებზე. წელსაც ასე იყო, ოღონდ, კოვიდპანდემიური შეზღუდვების გამო, უფრო მცირე მასშტაბითა და ნაკლები მონაწილით. ლამისყანაში ჭიდაობა კარგად აქვს დაცდილი მეტეხელ მძიმეწონოსან მოჭიდავეს ბექა ბერძენიშვილს – 2018 წლის საქართველოს აბსოლუტურ ფალავანსა და, ასევე, ჭიდაობა სამბოში ეროვნული ნაკრების ლიდერს თავის წონით კატეგორიაში, ევროპის 3-გზის ჩემპიონსა და მწვრთნელებმა ერთბაშად 4 მოჭიდავე იახლეს: საბა ინანეიშვილი, შალვა გურეშიძე, საბა კამლაძე და ირაკლი დემეტრაშვილი.

ამ ოთხეულის გამოსვლამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ყველამ გააღწია ნახევარფინალში! ერთ წყვილში ჩვენებური 19 წლის ირაკლი დემეტრაშვილი ბელგიელ მეტოქეს, ივეს ნდაოს, დაეჭიდა, სძლია და ფინალში გავიდა. ეს ნიშნავდა, რომ ფინალიც "ქართული" იქნებოდა. ირაკლიმ, რომელმაც მანამდე ოთხივე მეტოქე წმინდა გამარჯვებების მომტანი "იპონებით" დაამარცხა, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში რატომღაც პასიურობდა და სამი გაფრთხილებით დათმო თანაგუნდელ მეგობართანა და იმ შეხვედრის მეტოქესთან, საბა ინანეიშვილთან, რითაც საქართველოს გუნდს ვერცხლის მედალი მოუტანა.

... თითქოს სიმბოლურია ასეთი შედარება: როგორც ძიუდოს ეროვნული ნაკრების წევრებმა, რომლებმაც ტოკიოში 8-დან 4 მიითვალეს საკუთარ ყულაბაში, ამჯერად იტალიაში ახალგაზრდა ქართველმა ძიუდოისტებმაც, საერთო ჯამში, 8 მედალი იკუთვნეს (2 ოქრო, ამდენივე ვერცხლი და 4 ბრინჯაო) და საერთო ჩათვლაში წინ მხოლოდ ფრანგი თანატოლები გაუშვეს – მათ წილად 3 ოქრო და ერთი ბრინჯაო მოდის და გაუსწრეს ყველა იმ ქვეყნის წარმომადგენლებს, ზემოთ რომაა ჩამოთვლილი.

ამრიგად, მომავალ ოლიმპიადაზე ისევ და ისევ მასპინძელი მოჭიდავეებისაგან რომ უნდა მოველოდოთ სიურპრიზებს, აქედანვე ცხადი ხდება, ძიუდოს "ბებერი მეფე" რინერი იქით იყოს და!. ისე, ახალი მეფეები ჩვენშიც მოიკითხონ!



ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲪᲔᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ

ახლახან დამთავრებულ ოლიმპიადაზე ტოკიოში მასპინძლებმა ფურორი რომ მოახდინეს ჭიდაობა ძიუდოში და 7-დან 5 ოქრო შინ დაიტოვეს, გასაკვირი არაა, რადგანაც ძიუდო მათი ღირსებაა! იმ ორიდან ერთი ოქრო ქართველმა მზეჭაბუკმა ბექაურმა რომ მოსტაცა სამურაების ქვეყნელებს, ეს ხომ გვახარებს და გვახარებს ქართველებს.

მომდევნო ოლიმპიადაზე, რომლის ჩატარება პარიზშია გადაწყვეტილი, ევროპელებს რევანშის აღების შანსი ეძლევათ. ასეა, ევროპულ ძიუდოს ახალი დღე უდგას, ის ახალ შევსებაზე ზრუნავს, მომავალ ვარსკვლავებს ეძიებს...

ასეთი ლაიტმოტივი გასდევდა 2021 წლის 11-12 აგვისტოს იტალიის ქ. უდინეში გამართულ ჭაბუკ ძიუდოისტთა კონტინენტის თასის გათამაშებას სადაც ძიუდოს წამყვანი ქვეყნების (საფრანგეთის, რუსეთის, უნგრეთის, იტალიის, ესპანეთის, ბელგიის, სლოვაკეთის...) "ახალი ტალღის" წარმომადგენელთა დათვალიერება მოხდა.

საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები (მწვრთნელი – ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე) საკმაოდ სოლიდური გუნდით წარსდგა. საკმარისია ითქვას, რომ მძიმე წონაში (+100 კგ.) ქართველმა (რუსუდან ტატანაშვილი – სახელი რაიონის ქალთა სპორტის ისტორიიდან)

კასპის სპორტული წარსულიდან შეიძლება რამდენიმე "სუსტი სქესის" წარმომადგენლის დასახელება, რომელთაც თავიანთი თამამი სიტყვა თქვეს სხვადასხვა სახეობაში, როგორიცაა, უპირველესად, კალათბურთი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთიც კი.

რუსუდან ტატანაშვილი კასპელი კალათბურთელი ქალების ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე გახლდათ გასული საუკუნის 70-იან წლებში, მომდევნო ათწლეულში კი მწვრთნელის ამპლუაში მოგვევლინა.

ქალბატონ რუსუდანს წლევანდელ 11 აგვისტოს დაბადებიდან ლამაზი, ე. წ. "მრგვალი თარიღი" შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით შვეიცარიაში დავუკავშირდით და იუბილე მივულოცეთ. თანაც, ვთხოვეთ, რამდენიმე ამბავი გაეხსენებინა საკუთარი სპორტული კარიერიდან. აი, რა გვაცნობა მან:

– კალათბურთის თამაში 13 წლისამ დავიწყე. მახსოვს, სოფელ მეტეხის საშუალო სკოლაში მოვიდა კალათბურთზე უზომოდ შეყვარებული მწვრთნელი, კასპელი ახალგაზრდა კაცი ალექსანდრე (შურა) ქესაური, – ის გოგონა მაჩვენეთ, სიმაღლით ამ თამაშისთვის ზედგამოჭრილი რომ არისო. მე კი როგორღაც არ მაინტერესებდა კალათბურთი. ასე იყო თუ ისე, მისი დაჟინებული თხოვნითა და მამასთან შეთანხმებით დავიწყე ვარჯიში. მან რაიონის სოფლების სკოლებში საგულდაგულოდ მოგვძებნა, გოგონათა გუნდი შექმნა და კასპში დაგვაწყებინა სისტემატური ხასიათის ვარჯიშები. მე ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე თამაში დამაკისრა.

მალე პირველი წარმატებებიც მოვიდა. მინდა, გამოვყო 1977 წლის საქართველოს ზონალური პირველობის სადებიუტო შეჯიბრება ქ. გორში. 16 გუნდიდან პირველობა ჩვენ გვერგო.

ფინალური ეტაპი კი დასავლეთ საქართველოში, ქ. წულუკიძეში, ჩატარდა. მაშინ ისე იყო მიჩნეული, რომ სადაც თამაშები ეწყობოდა, გამარჯვებულიც იქაური გუნდი უნდა გამოსულიყო. ეს სტერეოტიპი კასპელმა გოგონებმა ვერ დავამსხვრიეთ და, საბოლოოდ, მე-4 ადგილზე დავრჩით. მერე სხვა უსიამოვნო შემთხვევები კიდევ მოხდა, მაგრამ გაცილებით მეტი იყო გულგასახარი გამარჯვებები.

მშობლიური რაიონის პირველობებზე კი გამოვდიოდი როგორც გოგონათა, ისე უფროსთა გუნდში და ჩვენ ყოველთვის ვიმარჯვებდით.

ვირიცხებოდი სპორტსაზოგადოება "შრომითი რეზერვების" ნაკრებ გუნდშიც, ხშირად ვჩემპიონობდით, გავხდით ქ. თბილისის ჩემპიონები და თასის მფლობელები, 1982 წელს მე-2 ადგილი დავიკავეთ საქართველოს სპარტაკიადაზე.

1981 წლიდან, როცა საქართველოს ფიზიკური კულტურის სასწავლებელი დავამთავრე, კალათბურთის მწვრთნელად დავიწყე მუშაობა კასპის სპორტსკოლაში. ასევე, ვიყავი ფიზკულტურის მასწავლებელი ქალაქის სკოლა-ინტერნატში, ხოლო მოგვიანებით გავხდი ადგილობრივი სპორტსაზოგადოება "კოლმეურნის" რაისაბჭოს ინსტრუქტორი და თითქმის 10 წლის განმავლობაში აქტიურად ვიყავი ჩართული ქალთა კალათბურთის განვითარებაში, ხშირად მიხდებოდა პრინციპული და გადამწყვეტი მატჩების მსაჯობა.

... ახლა უცხოეთში ხშირად მიწევს ყოფნა ჩემს შვილთან ერთად. ჩემი ქალიშვილი ექიმია, დაოჯახდა და ჰყავს 2 შვილი.

ჩემდა დასანანად, სპორტთან, ჩემს საყვარელ კალათბურთთან კავშირი აღარ მაქვს, მაგრამ მეგობრულ ურთიერთობას ვინარჩუნებ თანაგუნდელებთან და ყოფილ მოსწავლეებთან როგორც კასპში, ისე სხვაგან. კარგია, რომ სოციალური ქსელი ამის საშუალებას გვაძლევს.

***

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ქალბატონი რუსუდანი აქტიური სპორტული კარიერის წლებში წმინდა წყლის "სპორტულ ოჯახში" დიასახლისობდა: მეუღლე საქართველოს 3-გზის ვიცეფალავნისა გიორგი ქამხაძისა (1950 – 2015) და დედა მოჭიდავე ვაჟიშვილისა, ძიუდოისტი მიხეილ ქამხაძისა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲔᲑᲘ
ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ?

აგვისტოს პირველი სამშაბათი – "მხიარული კონცერტის" დღე



ყველაფერი, მართლაც, ასე იყო:

კალენდარული დრო – 2021 წლის 3 აგვისტო, თვის პირველი სამშაბათი:

წარმოდგენის ადგილი – ქ. კასპი, ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის სახლის წინამდებარე მოედანი;

სასცენო სანახაობის ხასიათი – მხიარული კონცერტი;

მსახიობები და როლების შემსრულებლები – ვახტანგ ტატიშვილი ("ჯუჯა"), ნუგზარ კვაშალი ("ჯაჯუ"), ჯამბაზი ვოვა (ვოვა პიშჩალოვი) და "კი-კის" ანიმატორები (დავით გაფრინდაშვილი, ლევან რეხვიაშვილი, ბექა სირაძე და ანი შერმაზანაშვილი);

კონცერტის წამყვანი – მუსიკოს-შემსრულებელი ზურაბ კობეშავიძე.

***

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პატრონაჟითა და მხარდაჭერით კასპში მოწყობილი თეატრალური საღამოს წარმოდგენა ნაწილია იმ სანახაობრივი შინაარსის პროექტისა, რითაც სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა გეგმავს რეგიონულ ცენტრებსა და ქალაქებში კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებას, მეტადრე კოვიდპანდემიური სიტუაციის პირობებში, როცა საქართველოს დიდ თუ პატარა ქალაქებში ზაფხულის ცხელ თვეებში ადგილობრივი მოსახლეობა დანატრებულია საკონცერტო მრავალფეროვნებას, დარბაზებსა თუ ღია სივრცეებში.

აი, ამ მიზნით შექმნილია რამდენიმე შემოქმედებითი ჯგუფი, რომლებშიც გაერთიანდნენ მუსიკოს-შემსრულებლები, დრამატურგები, საოპერო და თეატრალური სცენის მსახიობები, ჯამბაზები.

ზემონახსენები სამსახიობო ჯგუფი, კასპში "მხიარული კონცერტის" ჩატარებამდე, ანალოგიური პროგრამით სტუმრობდა თეთრიწყაროსა და წალკის მოსახლეობას, ხოლო კასპის შემდეგ გეგმავდა ბოლნისში, მარნეულსა და გარდაბანში გამოსვლებს.

ვაჟა აზარაშვილის საიუბილეო შემოქმედებითი საღამო – სოფელ ლამისყანაში

2021 წლის 13 ივლისს დაბადებიდან 85 წლისთავი შეუსრულდა ცნობილ კომპოზიტორს ვაჟა აზარაშვილს. მისი შემოქმედება გამორჩეულია ჟანრობრივი მრავალფეროვნებით: სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტული, საესტრადო, მიუზიკლი და ა. შ. ავტორია ფართოდ პოპულარული სიმღერებისა: "დღეები მიდიან", "პატარა გოგო", "ისევ წვიმს", "სიყვარულის აბდაუბდა", "დინამო, დინამო", "სიმღერაა მთელი ჩემი ქონება"... ბევრი სიმღერა მიუძღვნა თბილისს. ორი საუკუნის მიჯნაზე, 1997–2007 წლებში თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს. იგი გახლავთ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე...

7 აგვისტოს იუბილარი კომპოზიტორის შემოქმედებითი საღამო გაიმართა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის ღია სივრცეში.

"მოურავი" "არტ-გენი-21"

წლევანდელი "არტ-გენის" ვრცელი ღონისძიება 16 ივლისს დაიწყო თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ანსამბლ "სუხიშვილების" კონცერტით. "არტ-გენი" უკვე 18 წლისაა. უცვლელი რჩება მისი უმთავრესი მიზანი და დანიშნულება – რეგიონებში მოქმედი ფოლკლორული ანსამბლებისათვის ხელშეწყობა, მათი შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით ამჯერად რამდენადმე განსხვავებული ფორმით წარიმართა, ვიდრე გასულ წლებში. 24 ივლისს მასში მონაწილეობის პატივი, ტრადიციულად, ჰქონდა კასპის ხალხური სიმღერების ანსამბლს "მოურავი" (სამხატვრო ხელმძღვანელი – ზურაბ ხითარიძე). "არტ-გენი – 21"-ზე "მოურავი" წარდგა საკონცერტო ორი გამოსვლით: "მრავალჟამიერი" და "შენ, ბიჭო, ანგურელო".

"მზის სხივმა" ბათუმში გაიბრწყინა

საქართველოს სპორტული ცეკვების ასოციაციის ეგიდით ამა წლის 11 ივლისს ქ. ბათუმში ჩატარდა სამეჯლისო და სპორტული ცეკვების ტურნირი "არგო–2021". დაწესებული იყო მთავარი ჯილდო "აჭარის თასი" და უამრავი პრიზი (ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით).

შავიზღვისპირულ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი სპორტული ცეკვების სტუდია "მზის სხივის" მოცეკვავეები.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამსაჯოდ მიწვეული იყო ამავე სტუდიის ხელმძღვანელი გიორგი მჭედლიშვილი. შეგახსენებთ, რომ, იმავე დროს, იგი არის საქართველოს სამეჯლისო და სპორტული ცეკვების ასოციაციის კურატორი მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის მხარეებში.

კასპელმა მოცეკვავეებმა წარმატებით იასპარეზეს სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში, ბათუმიდან ისინი შინ დაბრუნდნენ ხელხვავიანი სპორტული მონაგარით: 9 პირველი და 2 მეორე საპრიზო ადგილით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება

საბავშვო ბაღი ,,ნაყბეურთან,,

დასასრული. დასაწყისი იხ. გვ-6.

ნადადებები, რასაც ვიღებთ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელობისაგან (დირექტორი – მანანა ხვთისიაშვილი).

დიახ, ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას, კასპის №5 ბაგა-ბაღის ჭიშკარი ყოველ დილით ახალი სიხარულითა და ახალი იმედებით იღება.

საუბარი დავიწყეთ იმით, რომ 2021 წლის ნოემბერში 35 წელი შესრულდება ჩვენი ბაღის დაარსებიდან, გაგაცანით იმ ადამიანთა ვინაობა, ვინც მაშინ იყო პედკოლექტივის პირველ შემადგენლობაში.

მსურს, ამჯერად მათი გვარები ჩამოვთვალო, მიმდინარე საუკუნის მე-2 ოცწლეულის დასაწყისში, პანდემვითარების რთულ პერიოდში რომ ემსახურება საყვარელ საქმეს:

ბაღის გამგე – ლამარა (ლალი) მილაძე; მეთოდისტი – ნაირა დევაძე; ფსიქოლოგი – ელენე ხეჩუაშვილი; ლოგოპედი – თიკო გაბოძე; აღმზრდელები – ნანა ჯამალაშვილი, მაია მაღლაფერიძე, თამარ ნიპარიშვილი, ლია მემარნიშვილი, ეკა ნიპარიშვილი, მაია ბაიდაური, ეკა წიკლაური, თინიკო თინიკაშვილი, ოლიკო ლალიაშვილი; მედდები – მარინა ზავრადაშვილი, ლალი მღებრიშვილი, ქეთევან მარჯანიძე; მზარეულები – ირმა მილაძე, ნანა ნავროზაშვილი, რუსუდან ბუთხუზი; მუსიკის მასწავლებელი – ელიზა (ელენე) ხორგუაშვილი; აღმზრდელის თანაშემწეები (ძიძები) – დონარა ქავთარაძე, ია ხარაზიშვილი, მარეხი მაჭარაშვილი, ოლია ბერიძე, ლია ტყეშელაშვილი, ნათია მეცხვარიშვილი, თამარ ომაძე, ეკა ლაგრაძე, ვერა ჩარაევი, სოფო ვალიშვილი, ლია გზირიშვილი, მარი ალიმბარაშვილი, ხატია ილურიძე; დარაჯები – ნინო მაისურაძე, ნუკრი კორაშვილი, ბეჟან მოდრეკილაძე; დამლაგებლები – მაია ბერიანიძე, მთვარისა ახლოური...

საბავშვო ბაღში არის ერთსულოვნება, ერთმანეთის პატივისცემა ძველი და ახალი თაობების წარმომადგენელთა შორის.

ლაშა, ლაშა, ლაშა! „ამომავალი მზის ქვეყნიდან„

ოლიმპიადა "ტოკიო – 2020", რომელსაც ახლახან ვუთხარით "ნახვამდის", სწორედ მათ გვაჩუქეს: ლაშამ, ლაშამ, კიდევ ლაშამ, კიდევ... მათგან, ქართველი ხალხის

ლაღი შვილებისგან – სტუდენტი მოლექისგან, ქართლელი ოლიმპიური მედლების სრული მფლობელისგან, იმერელი ორგზის დევკაცი მამისაგან, წამოვიდა თვით იაპონური ცუნამი პატარა ერის დიდგულოვანების გასახარებლად, გასაამაყებლად...

საინტერესო ფაქტია: 1952 წლიდან მოყოლებული ვიდრე 2012 წლამდე გამართულ საზაფხულო 16 ოლიმპიადაზე, სადაც კი საქართველოს წარმომადგენლები გამოსულან, არც ერთ (!) ჩვენებურ სპორტსმენს არ რქმევია ამჟამად ყველაზე გავრცელებული და, ამასთან, ოლიმპიურად წონადი სახელი – "ლაშა".

დიახ, ქვეყანაში, სადაც ოდესმე მეფედ მჯდარა ამ სახელის მტარებელი კაცი ("ლაშა - გიორგი"), ახალი საქართველოს დროების ტალღა აგორდა ლაშა – ვაჟკაცებისა:

პირველად იგი მოგვევლინა 2012 წელს, ინგლისის დედაქალაქ ლონდონიდან. იმ ოლიმპიადიდან ერთადერთი ოქრო წამოიღო და ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა 20 წლის გორელი ჭაბუკი ლაშა შავდათუაშვილი.

მან, ლაშა – პირველმა, სპორტული ფორმაციის კიმონო სახელოვნად მოირგო, ბრაზილიურ რიოში 4 წლის მერეც შესწვდა ოლიმპოს ბრინჯაოს მედალს, ხოლო 2020-ის ტოკიოში მხოლოდ ფინალში წაიბორძიკა, თუმცა ამით გაასამა ნაღდი ოლიმპიელის ჯილდოები, სამივე სინჯის კომპლექტით. ახლა თქვენ შეაფასეთ, მსოფლიო ძიუდოში ქართველ ლაშა – პირველს რაოდენ ხარისხობრივი ქებადიდება ეკუთვნის!

ახლა ეს ლაშა – ბექაური, ანუ ქართული მთის ლაღი შვილი, ჩვენებური, აქაური, წიგნიერი და მოლექსე, გულხალასი და სახეღიმილიანი, პირველი ოქრო რომ დასტყუა "თავის" წონით კატეგორიაში გათამამებულ მასპინძლებს?! აკი ახილვინა მკლავის ძალა არხილოსკალოელმა 21 წლის ქართველმა ჭაბუკმა ტელეეკრანებს მიჯაჭვულ დუნიას!

დიახ, ლაშა ბექაური გახლავთ "ტოკიო – 2020"-ის ნაოცნებარი გმირი ქართველი ხალხისა. ის ღირსია დაფნის გვირგვინისა (რითაც ძველად დაფნავდნენ პირველ ჩემპიონებს), იგი ღირსმფლობელია თანამედროვე მოდელის მანქანისა და ახალი ბინისა, იგი ადრესატია ყველა ქართველის სიყვარულისა...

მან, ლაშა – მესამემ, იაპონურ კვარცხლბეკზე, იქაურთა ტრადიციული ყვავილებისაგან შეკრული პატარა თაიგული ისაჩუქრა და საკუთარი ხელით (!) კისერზე ჩამოიკიდა მედალი ოქროსი, რომელშიც წილი უდევს მილიონობით იაპონელს (საქმე ისაა, რომ ორგანიზატორებმა ხალხს ახალი მობილური ტელეფონების სანაცვლოდ ჩამოართვეს მოძველებული, საიდანაც მისხალ-მისხალ შეაგროვეს ძვირფასი ლითონების ნაწილაკები სამივე სინჯის მედლების დასამზადებლად! აი, პედესტალები სულაც პლასტმასის ნარჩენების შეგროვება-ჩაბარებითა და გადამუშავებით მიიღეს).

როგორ, ქართველ ოლიმპიელთა რიგიდან ლაშა – მეორე გამოგვრჩა? – არა, ეს გახლავთ ლაშა ტალახაძე – "ოქროს კაცი", რომელიც 21-ე საუკუნეში მეორედ გაჩემპიონდა გარანტირებულად, წინსწრებით, წყალგაუვალად, უტყუარი იმედიანობით...

ამ ჩემს სახლიკაცსა და მოგვარეს "ლაშა – მეორე" მარტოოდენ ოლიმპიადების რიგითობის გათვალისწინებით უნდა ვუწოდო, თორემ, სინამდვილეში, საჩხერელ დევკაცს მსოფლიო ფიცარნაგზე შემცილებლად ფარდი როგორ, სად და ვინ დაეძებნება! აბა, მეტოქედ როგორ მოვიხსენიო ის მეორეადგილოსანი, რომელიც 47-კილოგრამიანი მეტობით დაჯაბნა. დიახ, "ლაშა – მეორემ" 2016 წლის ბრაზილიური მზით აციაგებულ ოქროს მედალს დაუწყვილა მეორეც იმ ქვეყნიდან, რომელსაც, ოფიციალურ სახელს თუ გადმოვუქართულებთ, ჰქვია "ამომავალი მზის ქვეყანა", ანდა – "მზის სამშობლო".

... დიდად დასანანი და საწყენი იქნება, თუ გამართლდა ტოკიოს თამაშების დამთავრებისთანავე გავრცელებული, ლამის კუდში მიდევნებული ცნობა, რომ დაგეგმილია მომდევნო ოლიმპიადის (2024 წელი, ქ. პარიზი) პროგრამიდან ძალოსნობის ამოღება. საბოლოოდ ეს ცნობა არ გამართლდა.

ამის სანაცვლოდ, ნუგეშად უნდა მივიჩნიოთ სოკ-ის (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის) მიერ მიღებული ოფიციალური გადაწყვეტილება: ჭიდაობა სამბო შეტანილია პარიზული ოლიმპიადის პროგრამის სპორტულ სახეობათა ნუსხაში!



ეს ხომ ის სახეობაა, სადაც ქართველი სპორტსმენები (რაც მთავარია, ვაჟებიცა და ქალებიც!) თამამ სიტყვას ამბობენ ტრადიციულად!

საქართველო – ოქროს "ოროსანთა" სათავეში: ტოკიოში მოასპარეზე სპორტსმენები ოფლისა და სისხლის ფასად იბრძოდნენ სანუკვარი გამარჯვებისათვის, ამასთან, ბოლო წუთისა და წამის ამოწურვამდე, უკანასკნელ მეტრამდე და სანტიმეტრამდე, მეტ კილოგრამამდე და გრამამდე, გადამწყვეტი ბურთის გატანამდე და ქულის აღებამდე, ბოლო ჩხვლეტის მიყენებამდე, წრიული სამიზნის დაზიანებამდე...

სხვანაირად არ მოდიოდა არც გამარჯვება და არც მედალი. აკი სპორტული დელეგაციების თავკაცები ყოველი საშეჯიბრო დღის ბოლოს აჯამებდნენ შედეგებს, ითვლიდნენ ჯილდოებს, ანგარიშობდნენ ადგილებს, გამოთქვამდნენ პროგნოზებს.

აკი ქართველებსაც უაღრესად გვეწადა თუნდაც ერთი (მესამე!) ოქროს მედლის დასაკუთრება. აბა, როგორია 5 (ხუთი!) ფინალური ორთაბრძოლის დათმობა, როცა იქ გამარჯვება ოქროდ ფასობს? ასეთ შემთხვევაში, მეტხარისხობრივი ჯილდოების გათვალისწინებით, ადგილების გადანაწილების ცხრილში, საქართველო საუკეთესო მაჩვენებლების მქონე ქვეყნების 20-ეულის სიახლოვეს მოხვდებოდა.

საბოლოოდ, 206-ქვეყნიან გრძელ სიაში ხვდა 33-ე ადგილი. არა, პატარა ქვეყნისათვის ცუდი მაჩვენებელი არაა, მაგრამ...

აგერ, საბოლოო სიას დაინტერესებული გულშემატკივრის პოზიციიდან თუ გადავხედავთ და დავითვლით, 2-2 ოქროსმედალოსნებში ჩვენს უკანაა ზუსტად 10 ქვეყანა: ტაივანი, თურქეთი, საბერძნეთი, უგანდა, ეკვადორი, ირლანდია, ისრაელი, ყატარი, ბაჰარის კუნძულები და კოსოვო. მათგან, მართალია, ჩვენზე მეტი მედალი



ირგო ტაივანმაცა და თურქეთმაც (შესაბამისად, 12 და 13), მაგრამ ქართველების 5 ვერცხლმა გადაწონა მათი 4 და 2 იმავე სინჯის მედლები. ამიტომაა, რომ, სულაც 44-ე ადგილზე მყოფ უკრაინას კი აქვს ამ სამივეზე მეტი მედალი (19), მაგრამ მის წილად მოდის მხოლოდ 1 ოქრო და ის ამ კინკილა ოქროთი (და 6 ვერცხლითა და 12 ბრინჯაოთი) უსწრებს, ასევე, თითოთითო ოქროს მქონე 21 ქვეყანას.

ასეა, საოცარი რამეა ეს სტატისტიკა! განუზომელია თუნდაც ერთი ოქროს მედლის ანდამატი!

ჰო, ჩვენებს ამ 5 ვერცხლიდან თუნდაც ერთი რომ "გადაეცვალათ" ოქროში, ამით საქართველო აინაცვლებდა ზევით და 24-ე ადგილზე დაინაცვლებოდა შვეიცარიას (3 ოქრო, 4 ვერცხლი და 6 ბრინჯაო) და 3-3 ოქროს მფლობელთაგან წინ გაუშვებდა მხოლოდ ესპანეთსა (8 ვერცხლითა და 6 ბრინჯაოთი) და შვედეთს (6 ვერცხლი და 0 ბრინჯაო).

საინტერესოა, 10-10 ოქროს მოპოვება შეძლო მხოლოდ 4 ქვეყანამ (ნიდერლანდები, საფრანგეთი, გერმანია და იტალია), ხოლო 10-ზე მეტისა – სამმა (ავსტრალია – 17, რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი – 20, დიდი ბრიტანეთი – 22). აი, ოლიმპიურმა ბობოლაქვეყნებმა – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთმა კი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გამარჯვებული მხ-ოლოდ ოლიმპიადის ბოლო დღეს გაარკვიეს: ამერიკამ წარიტაცა 39 ოქრო, ჩინეთმა – 38.

საქართველოს ოლიმპიური მონაგარი 1992-დან 2020 წლების ჩათვლით:

განსასჯელადა და სამომავლო პროგნოზებისათვის აქვე გთავაზობთ საინტერესო ცხრილს –

ქ. ბარსელონა (1992) – 3, 0, 5 (8)

ქ. ატლანტა (1996) – 0, 0, 2 (2)

ქ. სიდნეი (2000) – 0, 0, 6 (6)

ქ. ათენი (2004) – 2, 2, 0 (4)

ქ. პეკინი (2008) – 3, 2, 2 (7)

ქ. ლონდონი (2012) – 1, 2, 3 (6)

ქ. რიო (2016) – 2, 1, 4 (7)

ქ. ტოკიო (2020) – 2, 5, 1 (8)

პ. ს. სპეციალისტებისა და ბუკმეკერების პროგნოზებით, რაც ტოკიოს ოლიმპიადამდე 100 დღით ადრე გაკეთდა, საქართველო იაპონიაში დაისაკუთრებდა 2 ოქროს მედალს, სულ 11 მედალს მოუყრიდა თავს და გავიდოდა 26-ე ადგილზე...

მაშ, ასე: ნახვამდის, ოლიმპიადავ, რომელსაც 4 წლის ნაცვლად 5 წელი გელოდით! გამარჯობა, ოლიმპიადავ, რომელსაც 4 წლის მაგიერ 3 წელი დაგელოდებით!

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ პოზიციებზე:

1. მბრუნავი ღუმელის ოპერატორის სტაჟიორი;
2. სილოსების ჩამზომველი:
3. ზეინკალ-შემკეთებელი;
4. დოზირების უბნის შემომვლელი და ზედამხედველი.

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ხელზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის 3 სექტემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:

ქ. კასპი, ფარნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

გილოცავთ!

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული საბჭო დაბადების დღეს ულოცავს გიული სოზიაშვილს, უსურვებს ჯანმრთელობას და კავკასიურ დღეგრძელობას, საყვარელ ოჯახთან ერთად.

გიული სოზიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს! გვინდა, იყო სულ ჯანმრთელი, ჩვეულად ხალისიანი, საიმედო, ენერგიული. თქვენთან ყოველი შეხვედრა მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

ნანა, მარინა.

ჩვენს საყვარელ, ერთგულ, თბილ, გულისხმიერ მეგობარს კობა მოსიაშვილს ვულოცავთ საიუბილეო დაბადების დღეს!

გვინდა, გვყავდე ჯანმრთელი და ბედნიერი, შენს დიდ ოჯახთან ერთად!

მეგობრები

,,ახალი გვნთავლი,, იძიებს ახინდერრიგლი ყურთიებს რიაონის ავგაზეთი ფოტომაციანის შეცვალნერლი. თხოვნით მივმართავთ თანარიაონერლებს - დადოვეთ თქვენი ყვალი ჩვენს მაციანერში! გამოგვიგზავნეთ ახინდერრიგლი ფოტოები!

გინდათ, გვიცნოთ ახინდერრიგლი, ახალმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნიგა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?

გინდათ თვალი ადევნოთ ახალთვერლოში მიმდინარე მოვლენებს?

გვგლით ჩვენი მეითხვერლი

ნანი მერებაშვილი

მაინც როგორია სამყარო, რომლის შექმნასაც მრავალი თაობა შეეწირა მზისქვეშეთში და დედამიწაზე ახალი თაობების მომავალიც უკეთესის იმედით დატოვა.

ის სასურველი და იდეალური სამყარო, ალბათ, წარმოუდგენელია ერთგული მეგობრების გარეშე, მათ გარეშე ვინც საკუთარი შესაძლებლობების ზღვარზე (და მის მიღმაც!) გილამაზებს აწმყოს, - ყოფნას, სადაც ცხოვრობ ახლა და ამ წუთში, გიხარია და უმხელ მეგობარს, მასთან საუბარში ყლუპი ჰაერით გათამამებული გასცქერი მომავალს, წუხილი და ტკივილიც შენი მეგობრის გადასატანია... და იცი, მარადისობასაც ეშინია შენი და შენი მეგობრის ერთად დგომის. ამ საკრალურ ერთობას შიგნიდან თუ არა, გარედან ვერავინ არღვევს.

ჩვენო საყვარელო, ძვირფასო, ნანი, გითხრათ, რომ მოგვენატრე, ეს ტოლფასიაა არაფრის თქმისა. რაც წახვედი, სულში ცხადად ჩაგვისახლდი. კი ვიცოდით, რომ გულიანი, მზრუნველი, უსათნოესი, ნათელი და ერთგული გვყავდი, მაგრამ უშენობით მრავალგზის მეტი დააკლდა ჩვენ ცხოვრებას. დააკლდა რაღაც ისეთი, ჯერ სახელიც რომ ვერ დაგვირქმევია.

ახლაც კი არ გიხსენებთ, ოთხმოცი წლის იუბილეს გილოცავთ!

სამზეოზე რომ გვყავდე, მოვილოცავდით მონასტრებს, შენს ძვირფას დედაოებს მოვინახულებდით და მომავალ დღესასწაულამდე გავიყოლებდით შენთან ყოფნით გამთბარ მოგონებას.

დაბადების დღეს გილოცავთ, აგვისტოს მზესავით თაკარავ და დაუვიწყარო.

მეგობრები.

რუბრიკა - წელიწადს ,,მეხუთე ლრი,, ელოდები თქვენგ გამოგზავნილ ფოტოებს. მიგზავნეთ რედაქციაში, გაგვაცანით თქვენი ნამუშევრები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გავაცნით იგინი ახალი ახალგაზრდებსგ.

შეგიძლიათ, მიგვაწოდეთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, გამინათქვამები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში

გრიგოლ (გრიშა) ბაინდურაშვილი

2021 წლის 6 აგვისტოს 101 წლის ასაკში გარდაიცვალა გრიგოლ (გრიშა) ბაინდურაშვილი – კუნძულ ტექსელის (ჰოლანდია) ქართველი ტყვეების ავჯანყების ერთ-ერთი ლეგენდა-მონაწილე, ქ. კასპის მკვიდრი.

1940 წლის 7 ოქტომბერს გაწვეული იყო ჯარში, ლიტვის მახლობლად ქალაქ პლუნგეში მესაზღვრედ.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. ქ. რიგის მახლობლად მდინარის გადასვლისას დაიჭრა ორივე ფეხში, რამდენიმე დღის შემდეგ ადგილობრივმა მოსახლეებმა (ცოლ-ქმარმა) იპოვეს უგონოდ მყოფი, თავის სახლში გადაიყვანეს და სიცხიანს მოუარეს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდა. ერთ დღესაც გერმანელები მიადგნენ მათ ბინას ძაღლებით, ალბათ გაიგეს, რომ იქ იმყოფებოდა დაჭრილი ჯარისკაცი.

აქედან დაიწყო მისი მძიმე და რთული გზა საკონცენტრაციო ბანაკებში: კენიგსბერგი, პოლონეთი, საფრანგეთი, იტალია და ბოლოს კუნძული ტექსელი, სადაც ამუშავებდნენ არხების გათხრაზე.

არაერთხელ შეხედა სიკვდილს თვალებში, როდესაც კრემატორიუმამდე ორჯერ მიყვანილი ჯგუფი შეფერხების გამო გადარჩა, ვერ განახორციელეს კრემაცია. ალბათ, ბედი არ იყო სხვის მიწაზე დარჩენილიყო.

ქ. კასპიდან მოსკოვის გავლით მან თავისი სახსრებით ჩაიტანა მარმარილოს ქვა იმ ქალბატონისთვის, რომელმაც გადაარჩინა სიკვდილისგან ის და მისი მეგობრები.

ის ქვა დგას ძმათა სასაფლაოზე, კუნძულ ტექსელზე, ქართული ჭიშკრის გვერდით.

გრიგოლ (გრიშა) ბაინდურაშვილი იყო მშრომელი, კეთილსინდისიერი, ძვირფასი, სტუმართმოყვარე ადამიანი. მას არაერთხელ სტუმრობდნენ: ქ. ამსტერდამის უნივერსიტეტის სტუდენტები, ჟურნალისტები. გადაღებულია დოკუმენტური ფილმი, მისი პრეზენტაცია შედგა 2009 წლის 5 დეკემბერს თბილისში, კინოთეატრ "რუსთაველში" და დაესწრნენ "იმედის" ჟურნალისტები, პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

ბოლოს 2005 წლის მაისში იყო კუნძულზე ექსპრეზიდენტის თანხლებით.

მარადიული ხსოვნა დიდი სამამულო ომის გმირ მებრძოლს. ძვირფასო გრიშა, შენ ყოველთვის დარჩები ჩვენს ხსოვნაში, როგორც მზრუნველი და მოსიყვარულე ადამიანი.

მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ახლობლები.

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის 2021 წლის 2 აგვისტოდან - არჩევნების დასრულებამდე გამოყოფილია გაზეთის ფართობი.

გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე შეადგენს 3680 სმ²; მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე შეადგენს 1840 სმ² A3 ფორმატის ჩანართის ღირებულებაა 368 ლ (1სმ² 40 თეთრი).

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68

ტელეფონი 22-25-76